13/X 306 49
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივნისის 27. № 16 ცხილისი

შინაარსი

შრომა.

95. შრომის გმირთა შესახებ.

96. მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა წოდების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

97. პერსონალური პენსიების დებულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტისა და მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

შ რ ო მ ა.

95. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შრომის გმირთა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც წარმოების, სამეცნიერო მოღვაწეობის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის და რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირსაც, რომელსაც ამა მუხლით დადგენილი შრომის სტაჟი არა აქვს, ხოლო, ამასთანავე, ამ პირს აუცილებლად უნდა მიუძღოდეს უაღრესად მნიშვნელოვანი და სერიოზული დამსახურება შრომის ფრონტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოანგარიშებისდროს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გატარებული დრო არ გამოირიცხება.

2. შრომის გმირის წოდების მინიჭების საფუძვლებია:

ა) მრავალწლის განმავლობაში, განუწყვეტლივ, შრომის ისეთი ენერგიის, დისციპლინის, სიზუსტისა და სისწრაფის გამოჩენა მუშაობაში, რაც თვალსაჩინოდ აღემატება ჩვეულებრივ დონეს და სამაგალითოა სხვა მომუშავეთათვის, და სხვა მისთ.;

ბ) მნიშვნელოვანი მიღწევანი მომუშავისა ტექნიკურ, ეკონომიურ ან საადმინისტრაციო სფეროში; ტექნიკური გაუმჯობესება, გამოგონება, საწარმოო პროცესების რაციონალიზაცია და სხვა მისთ.;

გ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბეჭდვითი, ლაბორატორული, საგამომგონებლო და სხვა მისთ. ნაშრომები მეცნიერების, ლიტერატურისა თუ ხელოვნების სფეროში;

დ) სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ინტერესებისათვის განსაკუთრებით სასარგებლო მოღვაწეობის ფაქტები, როგორიცაა: სახალხო დოვლათის (ფაბრიკა-ქარხნების, საწყობების, განსაკუთრებული ღირებულების ქონებისა და სხვა მისთ.) შენახვა და დაღუპვის ან გატაცებისაგან გადარჩენა; თავისი მაგალითით მასებში აღფრთოვანების აღძვრა; საერთო-სასარგებლო ნაგებობათა აშენებისა და განსაკუთრებით სასწრაფო და უაღრესი მნიშვნელობის მქონე სამუშაოების ასრულების საქმეში თაოსნობის გამოჩენა და სხვა მისთ.;

ე) სახელმწიფო, პროფესიონალური, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის თვალსაჩინო სამსახურის გაწევა მუშების ან გლეხებისათვის ფართო დახმარების აღმოჩენის საქმეში (ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟენრები, კოოპერატორები, ტექნიკოსები, ფერშლები და სხვ.).

3. შრომის გმირის წოდება მიინიჭება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარდგენისამებრ; ამასთანავე, წარდგინება წინასწარ უნდა განიხილოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ.

შუამდგომლობას შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს პროფესიონალური კავშირთა საბჭო აღძრავს თავისი ინიციატივით ან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროფესიონალური კავშირების შენაერთთა პლენუმების ინიციატივით.

შენიშვნა. სამხედრო მსახურთ შრომის გმირის წოდება ენიჭებათ საერთო საკავშირო კანონით დადგენილი წესისამებრ.

4. იმ პირთ, რომელთაც შრომის გმირის წოდება მიენიჭათ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენი-

ლებით, ეს წოდება შეიძლება ჩამოერთვათ მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება შრომის გმირის წოდების მინიჭების თუ ჩამორთმევის შესახებ გამოქვეყნდება ოფიციალურ ორგანო—გაზეთ „კომუნისტში“.

6. შრომის გმირს, რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა, სოციალური დაზღვევის ორგანოთა მიერ მიეცემა პენსიად სრული სამუშაო ხელფასის სამი მეოთხედი, ხოლო არა უმეტეს ხუთასი მანეთისა, შრომის უნარისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, მას ეძლევა ნახევარი პენსია.

შრომის გმირს, რომელსაც 35 წელზე ნაკლები უმუშავნია დაქირავებით, პენსია აღნიშნული რაოდენობით, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, მიეცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ინვალიდობის პირველ სამ ჯგუფს შორის ერთ-ერთ ჯგუფშია ჩარიცხული.

შენიშვნა 1. შრომის გმირის პენსიის გამოანგარიშების დროს საფუძვლად მიიღება მისი სრული საშუალო თვიური სამუშაო ხელფასი იმ სამი საკალენდრო თვისა, რაც წინ უძღოდა მისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭებას, ან დაქირავებით მუშაობის სამი უკანასკნელი თვისა, უკეთუ შრომის გმირის წოდების მინიჭების დროს ეს პირი დაქირავებით აღარ მუშაობს. ხოლო უკეთუ შრომის გმირი განაგრძობდა დაქირავებით მუშაობას ამ წოდების მინიჭების შემდეგ და ერთი წლის განმავლობაში იღებდა ისეთ სამუშაო ხელფასს, რაც აღემატება აღნიშნულ საშუალო თვიურ სამუშაო ხელფასს, პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად მიიღება მისი ახალი სამუშაო ხელფასი.

შენიშვნა 2. უკეთუ შრომის გმირს პენსია ხუთას მანეთზე მეტი რაოდენობით დაენიშნა ამ ზღვრული რაოდენობის დაწესებამდე, მას პენსია შეენარჩუნება წინანდელი რაოდენობით.

7. უკეთუ შრომის გმირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიების და დახმარების დებულების მე-5 მუხლში (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 132), მიეცემათ პენსიად: უკეთუ უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი,—შრომის გმირის სრული პენსიის ორი მესამედი; უკეთუ ორი პირი,—ნახევარი პენსია და უკეთუ ერთი პირი—პენსიის ერთი მესამედი.

ასეთივე რაოდენობის პენსია მიეცემათ აგრეთვე იმ გარდაცვალებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგული შრომის გმირის ოჯახის წევრებს, რომელსაც ეძლეოდა ნახევარი პენსია, ან და სრულიად არ ეძლეოდა.

8. შრომის გმირებს ეძლევათ შეღავათები საერთო-სახელმწიფო გადასახადებზე: საშემოსავლო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადებზე-საერთო-საკავშირო კანონმდებლობის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. შრომის გმირის შენობა, სატრანსპორტო საშუალება (ცხენი, ეკლიანი-სიპედი და სხვა მისთ.) და ოთხფეხი საქონელი განთავისუფლდება ადგილობრივი დაბეგვრისაგან, უკეთუ ეს შენობა, სატრანსპორტო საშუალება და საქონელი გამოიყენება მარტოდენ შრომის გმირის და მისი ოჯახის წევრების მიერ და არ ექსპლოატირდება გაქირავებით და სხვა მისთ. სახით.

10. შრომის გმირს აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება.

11. უკეთუ შრომის გმირს, პენსიის გარდა, სხვა რამ შემოსავალი არა აქვს, იგი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდის მუშათა და მოსამსახურეთათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით, თავისი პენსიის შესაბამისად; ამასთანავე ვარაუდში მიიღება პენსიის 50 პროცენტი.

შრომის გმირი, რომელსაც, პენსიის გარდა, აქვს სხვა შემოსავალიც, საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდის თავისი საშოვარის კვალობაზე, პენსიის ჩაუთვლელად.

12. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ქირას, რა სივრცისაც უნდა იყოს იგი ფართობი, შრომის გმირი იხდის ერთმაგი რაოდენობით.

13. შრომის გმირის გამოსახლება ბინიდან საადმინისტრაციო წესით კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას მიეცემა საცხოვრებლად გამოსადეგი თავისუფალი ფართობი არა ნაკლებ იმ სივრცისა, რაც მას ეჭირა, და სატრანსპორტო საშუალება ახალ ბინაზე გადასასვლელად.

14. სასყიდელს კომუნალური მომსახურეობისათვის (სარგებლობა საკუთარი სამეურნეო საჭიროებისათვის საქალაქო წყალსადენიდან წყლით, კანალიზაციით, ელექტრო-ენერგიით განათებისა და საოჯახო საჭიროებისათვის, საქალაქო სამრეცხველოებით, საზოგადოებრივი აბანოებით და სხვა მისთ. და აგრეთვე მიმოსვლა საქალაქო ტრამვაით და ავტობუსებით) შრომის გმირი იხდის ადგილობრივი საბჭოების მიერ დადგენილი შეღავათიანი ტარიფების კვალობაზე.

შენიშვნა. ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ მთლად გაანთავისუფლონ შრომის გმირები ყველა კომუნალური მომსახურეობის ან ზოგიერთ სახის კომუნალური მომსახურეობის სასყიდლისაგან.

15. შრომის გმირს სამედიცინო დახმარება გაეწევა რიგს გარეშე და უსასყიდლოდ, ხოლო მისი ოჯახის წევრებს—დაზღვეული მუშების თანაბრად; საკურორტო დახმარების მხრით შრომის გმირი გათანაბრებულია მუშა-დამკვრელთან.

16. შრომის გმირს და მის რჩენაზე მყოფ პირთ უფლება აქვთ სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა სახლებში და სხვ.) რიგს გარეშე იყვნენ მიღებული.

17. შრომის გმირის შვილები და მისივე რჩენაზე მყოფი პირები, რომლებიც შეეფერებიან სასწავლებლებსა და საალმზრდელო დაწესებულებებში მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნათ, მიიღებიან პირველ რიგში და განთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლდებიან სწავლისა და აღზრდის ფულისაგან. სწორედ ასევე მათ ეძლევინებათ სტიპენდიები პირველ რიგში, უკეთუ იგინი შეეფერებიან სტუდენტ-სტიპენდიატებისათვის დადგენილ მოთხოვნათ.

18. ამა დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ მუდმივ მცხოვრებ პირებზე რომელთაც შრომის გმირის წოდება მიენიჭათ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

აღნიშნული შეღავათები ეძლევათ აგრეთვე იმ პირებსაც, რომელთაც შრომის გმირის წოდება მიენიჭათ მოკავშირე რესპუბლიკების ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებით, ვინიცობაა ეს პირნი მუდმივ საცხოვრებლად გადმოვლენ საქართველოს სსრ-ში.

ამ შეღავათების განხორციელებისათვის აღნიშნულმა პირებმა დედანი დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება მათთვის შრომის გმირის წოდების მინიჭება, უნდა წარუდგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს და მიიღონ მისგან მოწმობა, რომ მათ უფლება აქვთ ისარგებლონ შეღავათებით.

19. ამა დადგენილების გამოცემისთანავე უქმდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილება „შრომის გმირთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 115; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 108; 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 256; 1935 წ. მე-16 №-ი, მუხ. 113 და 31 №-ი, მუხ. 199).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივნისის 8 № 147/699.
ტფილისი.

---

96. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა წოდების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ყველა დარგის განსავითარებლად და წასახალისებლად დაწესებულ იქნას მოღვაწეობის ამ დარგებში გამოჩენილ მომუშავეთათვის შემდეგი წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;

ბ) ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე;

გ) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ან დამსახურებული არტისტი;

დ) ხელოვნების სახალხო მოღვაწე ან სახალხო არტისტი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მიუძღვის თვალსაჩინო დამსახურება მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების სფეროში, და აგრეთვე იმ პირს, რომელსაც მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ამ სფეროში მოღვაწეობასთან.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდება მიინიჭება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით სათანადო სახალხო კომისარიატის ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წარდგენისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ სამმართველოსთან.

4. იმ პირს, ვისაც მინიჭებული აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნულ წოდებათაგან ერთ-ერთი წოდება, ეძლევა განსაკუთრებული სიგელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და შემდეგი ტექსტით: „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ჩაიწერება ტექსტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა წოდების მინიჭების შესახებ და იმ პირის სახელი, მამის-სახელი, გვარი და თანამდებობა, რომელსაც წოდება მიენიჭა) ადგენს: მიენიჭოს (აღინიშნება, რა წოდება მიენიჭა) წოდება“.

სიგელს, როგორც საერთო წესი, ჩააბარებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე. სიგელთან ერთად ჩაიბარება შეღავათების შესახები დოკუმენტი.

5. 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდების ჩამორთმევა მოხდება ამ წოდების მინიჭებისათვის დადგენილი წესით და მხოლოდ იმ გარემოებათა გამორკვევის შემდეგ, რაც შეუძლებელ ჰყოფს, რომ ეს წოდება შეენარჩუნოს იმ პირს, ვისაც იგი მიენიჭა.

6. 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდების მინიჭება და ჩამორთმევა გამოქვეყნდება ოფიციალურ ორგანო—გაზეთ „კომუნისტში“.

7. 1-ლ მუხლში აღნიშნული ერთ-ერთ წოდების მქონე პირს პენსია ენიშნება პერსონალური პენსიების დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47; მე-16 №-ი, მუხ. 229; მე-18 № ი, მუხ. 262; 1934 წ. მე-33 №-ი, მუხ. 251).

8. უფლებრივობის მხრით 1-ლ მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი წოდების მქონე პირი, რომელიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში არ იმყო-

ფება, გათანაბრებულია სახელმწიფო დაწესებულებათა და წამოწყებათა მომუშავეებთან.

9. 1-ლ მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი წოდების მქონე პირს აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება.

შენიშვნა. იმ პირის საბინაო უფლება, რომელიც გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშავეების სექციის ბიუროს რეგისტრაციაში, ან წევრია საბჭოთა მწერლების კავშირისა, საბჭოთა კომპოზიტორების კავშირისა, საბჭოთა მხატვრების და მოქანდაკეების კავშირისა, გათვალისწინებულია სპეციალური კანონებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 276; 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 95; 1935 წ. მე-18 №-ი, მუხ. 115; აგრეთვე 1924 წლ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1935 წ. მე-16 №-ი, მუხ. 110).

10. მეცნიერების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მომუშავეთ, რომელთაც ამა დადგენილების გამოცემის დროს უკვე აქვთ 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდება, ენარჩუნებათ ეს წოდება, და მათზე ვრცელდება ამა დადგენილებით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და უპირატესობა.

11. ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე უქმდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილება „ხელოვნების სახალხო და დამსახურებულ მოღვაწეთა და სახალხო და დამსახურებულ არტისტთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1936 წ. მაისის 27. № 141/576.
ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა.

97. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პერსონალური პენსიების დებულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტისა და მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პერსონალური პენსიების დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[2. უცილობელი უფლება პერსონალური პენსიის და დახმარების მიღებისა აქვთ:....]

„გ) იმ პირთ, რომელთაც სრულიად საქირთველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მინიჭებული აქვთ ხელოვნების სახალხო მოღვაწის, სახალხო არტისტის ან მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება“.

2. მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[3. ამას გარდა, პერსონალური პენსია და დახმარება შეიძლება დაენიშნოთ აგრეთვე:...]

„გ) შრომის გმირს, რომელსაც ეს წოდება მინიჭებული აქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, და სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს, რომელსაც ეს წოდება მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. მაისის 21. № 138/559.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 33. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 2³/₄ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/V; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI; ტირაჟი 1 900

თავლ. რწმ. № 87061 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 601